ლიდერობენ „კოლმეურნის" ცხენოსნები

მიმდინარე სპორტულ სეზონში წარმატებით გამოდიან „კოლმეურნის" ცენტრალური საბჭოს ცხენოსნები. ჯერ იყო და აქ საზოგადოების ჭაბუკთა გუნდი ჩვენი ქვეყნის ჩემპიონი გახდა, ხოლო ქ. კოსტრომაში გამართულ სოფლის ცხენოსანთა საკავშირო პირველობაზე კვლავ თავი ისახელეს „კოლმეურნის" ცხენოსნებმა. ორჭიდში ჩემპიონი გახდა ზუგდიდელი შ. გულორდავა, ხოლო საერთო გუნდურ ჩათვლაში საქართველოს სპორტსმენებმა უკან ჩამოიტოვეს ესტონეთის, ყაზახეთის, რსფსრ-ს ძლიერი კოლექტივები და ჯერჯერობით ლიდერობენ გათამაშებას.

შეჯიბრება დღეს დამთავრდება.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

გამოცემის 22-ე წელი

№ 170 (2890) ● კვირა, 29 აგვისტო, 1965 წ. ● ფასი 3 კაპ.

[illegible] საათი!

◆ **სოფია**, 28 აგვისტო. გოგონათა შორის ევროპის პირველობის მორიგმა ტურმა განამტკიცა ლიდერების — საბჭოთა და ჩეხოსლოვაკიელი კალათბურთელების პოზიციები. ჩვენებმა მოუგეს უნგრელებს — 85:42, ხოლო ჩეხოსლოვაკიელებმა — ბულგარელებს 69:58. ახლა ლიდერებს 3-3 მოგება აქვთ.

◆ **სოჭი**, 28 აგვისტო. მ. ჩიგორინის ხსოვნისადმი მიძღვნილ საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირის 1 ტურში სპასკი — ლეინის, უიტუმენ (მონღოლეთი) — ანტოშინისა და ფლორიანსას (ჩეხოსლოვაკია) პარტიები ყაიმით დასრულდა. ზაიცევმა მოუგო მალიხს (გდრ), ხოლო ჩირიჩმა (იუგოსლავია) — ილივიცკის. დანარჩენი პარტიები გადაიდო.

◆ **სტოკჰოლმი**, 28 აგვისტო. ქ. ჰელსინგბორგში გამართულ მძლეოსანთა შეჯიბრებაზე ახალი მსოფლიო რეკორდი დაამყარა კენიელმა მორბენალმა კ. კეინომ. მან 3000 მეტრი დაფარა 7 წუთსა და 39,5 წამში. აქამდე მსოფლიო რეკორდი ეკუთვნოდა ზ. ჰერმანს (გდრ).

◆ **სოფია**, 28 აგვისტო. ბულგარელმა პარაშუტისტებმა ხ. ილიევმა, გ. ფილიპოვმა და ჩ. ჯუროვმა განახორციელეს ღამის ჯგუფური ნახტომი პარაშუტის ნელი გაშლით 13.198 მეტრ სიმაღლიდან. ეს შედეგი ახალი მსოფლიო რეკორდია.

ფეხბურთი

სსრ კავშირის პირველობა

ჩემპიონი უნდა უმადლოდეს მეკარეს

ბაქო. ცენტრალური სტადიონი. 28 აგვისტო.

„ნეფტიანიკი" (ბაქო) — „დინამო" (თბილისი) 0:0.

„ნეფტიანიკი": შეხოვი, ჯალილოვი, ბრუხტი, ბაბაევი, ტროფიმოვი, სემიგლაზოვი, ტუაევი, გრიაზევი, ბანიშევსკი, მარქაროვი, მელქუმოვი.

„დინამო": ურუშაძე, ბ. სიჭინავა, ჭელიძე, რეხვიაშვილი, ცხოვრებოვი, გ. სიჭინავა, ილიადი, მეტრეველი, ბარქაია, ხუციშვილი, დათუნაშვილი (მესხი).

მსაჯი ნ. ხლოპოტინი (მოსკოვი).

დუბლიორები — 1:1.

რა თქმა უნდა, თბილისის „დინამო", 1964 წლის საკავშირო ჩემპიონი და ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი საუკეთესო გუნდი, თავისი საერთო სიძლიერით, მდიდარი ტრადიციებით მნიშვნელოვნად აღემატება ბაქოს „ნეფტიანიკს", მაგრამ ეს სრულიადაც არ ნიშნავს, რომ ერთმანეთთან საკმაოდ ხანგრძლივ შეხვედრათა ისტორიაში აზერბაიჯანელ ფეხბურთელებს ვერც ერთხელ ვერ უნდა შეძლებოდათ მოწინააღმდეგის დამარცხება.

მაგრამ ფაქტი ასეთია: ბაქოელებს 13-ჯერ აქვთ ნათამაშევი თბილისელებთან და არც ერთი გამარჯვება! გუშინ კი ისინი ისე ახლოს იყვნენ ნანატრ მოგებასთან, როგორც არასდროს. საქმე მარტო იმაში კი არაა, რომ მსაჯს უხამსი საქციელისთვის დასჭირდა გ. სიჭინავას მინდვრიდან გაძევება და ჩემპიონი კარგა ხანს 10-კაციანი გუნდი იყო. „ნეფტიანიკს" მანამდეც მრავლად ჰქონდა ბურთის გატანის რეალური შესაძლებლობა, რომლებიც ვერ იქნა და ვერ გადაიხარდა თუნდაც ერთადერთ გოლში.

ჩვენ არ გვინდა თბილისელთა ფრე, მძიმე ბრძოლაში მოპოვებული ფრე მეკარე ურუშაძეს მივაწეროთ, ვინაიდან ძალზე შრომატევადი სამუშაო გარდახდათ დაცვასა და ნახევარდაცვასაც, მაგრამ თბილისელთა მეკარე მართლაც შეუდარებელი იყო. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, 33-ე წუთიდან მოყოლებული პირველი ტაიმის დასასრულამდე მას მოუხდა 7-8 ისეთი ბურთის აღება, რომელთაგან თუნდაც ერთის გაშვება არ შელახავდა მეკარის პრესტიჟს.

ბაქოელთა საერთო უპირატესობა განსაკუთრებით ხელსახები იყო შესვენების შემდეგ. მათ იერიშებში იყო ყველაფერი — სისწრაფე, კომბინაცია, სახიფათო გასვლები. არ იყო მხოლოდ გოლი. აი ამიტომ დარჩა ბაქოს „ნეფტიანიკს" თბილისის „დინამოსთან" ჩატარებულ შეხვედრებში კიდევ ერთი „0" იმ სვეტში, სადაც წერია — მოგება.

მ. კეიზელი.

ბაქო.

გ უ შ ი ნ...

ჩატარდა მორიგი ტურის შეხვედრები სსრ კავშირის პირველობაზე ფეხბურთში.

„კრილია სოვეტოვი" (კუიბიშევი) — „ზენიტი" (ლენინგრადი) 2:1. ბურთები გაიტანეს ვასილიევმა („ზენიტი") და ჟუკოვმა (2).

სკა (ოდესა) — „დინამო" (მინსკი) 1:3. დინამოელთაგან გოლები გაიტანეს მუსტიგინმა, მალაფეევმა (2), ხოლო სკა-ს მხრივ — კაპანაძემ.

„სპარტაკი" (მოსკოვი) — „დინამო" (კიევი) 0:2. გოლების ავტორები არიან ბაზილევიჩი და სერებრიანიკოვი.

„ა" კლასი

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 29 აგვისტოსათვის

ძირითადი შემადგენლობანი

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„ტორპედო" (მოსკოვი)	20	14	5	1	33—10	33
„დინამო" (კიევი)	20	12	5	3	35—15	29
„დინამო" (მინსკი)	20	10	6	4	23—11	26
ცსკა	21	9	8	4	24—13	26
„დინამო" (თბილისი)	21	8	6	7	22—19	22
სკა (როსტოვი)	20	6	9	5	23—20	21
„კრ. სოვეტოვი" (კუიბიშევი)	20	7	7	6	24—22	21
„ზენიტი" (ლენინგრადი)	20	6	8	6	22—18	20
„დინამო" (მოსკოვი)	20	5	9	6	21—20	19
„შახტიორი" (დონეცკი)	20	5	9	6	19—21	19
„სპარტაკი" (მოსკოვი)	20	6	6	8	15—16	18
„ნეფტიანიკი" (ბაქო)	21	7	4	10	20—27	18
„ჩერნომორეცი" (ოდესა)	19	6	4	9	26—28	16
„პახტაკორი" (ტაშკენტი)	18	4	8	6	18—26	16
„ლოკომოტივი" (მოსკოვი)	21	5	6	10	30—39	16
„ტორპედო" (ქუთაისი)	19	6	1	12	19—38	13
სკა (ოდესა)	20	2	3	15	11—41	7

„ბ" კლასი

გუშინ გაიმართა მორიგი კალენდარული მატჩები ფეხბურთში „ბ" კლასის რსფსრ-ს IV ზონის გუნდებისათვის.

სოხუმი. ზონის გუნდებს შორის საქართველოდან ყველაზე უკეთესი მდგომარეობა აქვთ სოხუმის დინამოელებს, რომელთა მოწინააღმდეგე განვლილ ტურში იყო კიროვაკანის „ლორი".

მასპინძლებმა კარგად ჩაატარეს ეს საპასუხისმგებლო შეხვედრა. ისინი თამაშობდნენ მონდომებით, კოლექტიურად და მორიგი გამარჯვებაც მოპოვებულ იქნა — 2:1.

ბათუმი. ადგილობრივი „დინამოსა" და ლენინაკანის „შირაკის" შეხვედრა დასაწყისიდანვე უაღრესად დაძაბულ ბრძოლაში მიმდინარეობდა. მცირე ხნის ურთიერთდაზვერვის შემდეგ უპირატესობა მთლიანად მასპინძლებმა აიღეს ხელთ, რომლებიც თითქმის არ შორდებოდნენ მოწინააღმდეგის საჯარიმო მოედნის ფარგლებს. 23-ე წუთზე მიმდინარეობდა დინამოელთა მორიგი იერიში, რომლის დროსაც „შირაკის" ერთ-ერთი მცველი იძულებული იყო ხელით გამოეტანა ბურთი კარიდან. პენალტი ზუსტად გამოიყენა ვერულიძემ — 1:0.

საჭირო იყო მიღწეულის კიდევ უფრო განმტკიცება, მაგრამ ლენინაკანელებმა შეძლეს მდგომარეობის გათანაბრება და მათი ცენტრალური თავდამსხმელის კაზანჯიანის მიერ გატანილ იქნა საპასუხო გოლი — 1:1.

ვ. მოსეშვილი.

ზუგდიდი. აქ ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი „ენგური" და ქ. კაფანის გუნდი „ლერნაგორცი".

ზუგდიდელმა ფეხბურთელებმა სწორი ტაქტიკა აირჩიეს. მათ თავიდანვე არ მისცეს მოპირდაპირეს ინიციატივის ხელში აღების საშუალება და ძლიერი შეტევა წამოიწყეს. აბრალავამ, რომელმაც კარგად ჩაატარა მატჩი, მე-8 წუთზე ახლო მანძილიდან გაიტანა ბურთი — 1:0.

ამ გოლმა ზუგდიდელებს მოუტანა გამარჯვება.

ბ. ალშიბაია.

ფოთი. ადგილობრივი „კოლხიდისა" და ტყიბულის „მეშახტის" შეხვედრას სჯიდა საერთაშორისო კატეგორიის მსაჯი ნ. ლატიშევი. გამოცდილი არბიტრის ხელი დაეტყო მატჩის მსვლელობას: თამაში ძალზე კორექტული და საინტერესო იყო.

პირველი ბურთის გატანა წილად ხვდათ სტუმრებს, რომელთა თავდამსხმელმა ცაგარეიშვილმა კარგად გამოიყენა მეტოქის დაცვაში დაშვებული შეცდომა — 1:0. მაგრამ ეს იყო „მეშახტის" პირველი და უკანასკნელი წარმატება. განსაკუთრებით თვალსაჩინო იყო ფოთელთა უპირატესობა მეორე ტაიმში.

უკვე მე-3 წუთზე საპასუხო ბურთი გაიტანა მეტად პერსპექტიულმა ფორვარდმა ჯაიანმა. „მეშახტეს" მთელი ტაიმის განმავლობაში ღრმა დაცვაში მოუხდა თამაში.

„კოლხიდის" თავდამსხმელმა კალიუჟნოვმა მე-60, 75-ე და 87-ე წუთებზე ზედიზედ 3 ბურთი გაიტანა მოწინააღმდეგის კარში. ფოთელმა ფეხბურთელებმა მოიპოვეს დამსახურებული გამარჯვება — 4:1.

ა. ლომაია.

უკანასკნელი იერიშის წინ

ფოტოეტიუდი შ. მირიანაშვილისა.

ნახვამდის ბანაკო, სალამი სკოლავ!

პიონერული ზაფხულის ფინიში

ბანაკი 20 წლისაა

წალვერის რკინიგზის სადგურიდან ხელმარცხნივ აღმართს მივყვებით. „სახელმწიფო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირების რესპუბლიკური კომიტეტის პიონერული ბანაკი „ფიჭვნარი" — ვკითხულობთ ერთ-ერთი ეზოს შესასვლელთან. მის სიღრმეში კი პიონერთა გაბადრული სახეებით მოხატულ ტილოზე ფართო ასოებით წერია „კეთილი იყოს თქვენი მობრძანება".

უკვე 20 წელზე მეტია ბანაკი სტუმრებს იწვევს და ჩვენი მომავალი თაობის აღზრდა-დასვენებას ემსახურება. ვინ მოთვლის ამ ხნის განმავლობაში რამდენი პიონერი ისვენებდა ამ ადგილას. მისი პირველი სტუმრები, ალბათ, უკვე ქუნთმაგარი ვაჟკაცები და ქალიშვილები არიან.

...ეზოში ჭერჭერობით მყუდროებაა. ადრიანი დილაა და ირგვლივ სიჩუმეა. ჯერ კიდევ ხძინავს ბანაკს. ცოტა ხანში კიბეებზე სწრაფად ჩამომავალი პიონერი გამოჩნდა, ხელში საყვირი ეჭირა და გაღვიძების ნიშნის მისაცემად ეზოში მოიჩქაროდა.

მეორე თუ მესამე რაზმი?

საყვირის ხმას პიონერთა ჟრიამული შეუერთდა. ყველანი ლოგინს ტოვებენ და ეზოში გამორბიან. ხშირი შეძახილები ისმის ოთახებიდან: რაზმები ერთმანეთს ეჯიბრებიან სავარჯიშოდ მოწყობასა და პატაკის ჩაბარებაში. ყველას უნდა პირველი იყოს. თურმე, საუკეთესო რაზმისათვის გარდამავალი დროშა არის დაწესებული. თავდაპირველად კი ასე როდი ყოფილა. მარტო პირველი რაზმი გამოირჩეოდა ორგანიზებულობით. გარდამავალი დროშის დაწესებამ ყველას აუშალა „სადერდელი". უკვე კარგა ხანია პირველობას II და III რაზმი ეცილება ერთმანეთს. დავა ბოლო დღეებში უფრო გამწვავდა და აი, დღეს ყველას II რაზმმა აჯობა და დროშაც დაისაკუთრა.

დამთავრდა დილის ვარჯიში. ბანაკის დირექტორმა ვაჟა ცხვედიანმა დღევანდელი გეგმა გააცნო პიონერებს. დღეს დასვენითი დღეა და ბანაკიც საზეიმო მზადებას შეუდგა.

წერილი დედას

სანამ ბავშვები საუზმობდნენ, პიონერთა ოთახს ვეწვიეთ. აქ ყურადღება მიიქცია ლამაზად გაფორმებულმა კედლის გაზეთებმა. ორი მათგანი სპორტისადმია მიძღვნილი. გადათვალიერებისას პირველმა ნომერმა დაგვაინტერესა. მასში სამტრედიელი მოსწავლის მადონა თარგამაძის დედისადმი მიწერილი წერილის ის ნაწყვეტია მოყვანილი, სადაც პიონერი გოგონა თავის სპორტულ ოცნებას ანდობს მშობელს: „დედიკო, ბევრს ვვარჯიშობ სპორტში, მინდა შარშანდელივით გამარჯვება მოვიპოვო". მეორე გაზეთში ბანაკის ჩემპიონთა გვერდით მადონა თარგამაძის გვარსაც წავაწყდით, მას მართლა უსახელებია თავი მძლეოსნობის 3 სახეობაში: რბენაში, სიგრძეზე და სიმაღლეზე ხტომაში. მას ბევრი მყავს თანატოლთა შორის მიმბაძველი. სპორტის სათანადო ორგანიზაციამ გაზარდა პიონერთა დაინტერესება. აქ სპორტის სახეობებიდან ყველაზე მეტი მიმდევარი ფეხბურთს, ტურიზმს, ფრენბურთსა და ჭადრაკს ჰყავს.

ბანაკის სპორტული ცხოვრების აქტივშია ათობით ექსკურსია, ლაშქრობა, შიდასაკოლექტივო სპარტაკიადები და მეზობელ ბანაკებთან ამხანაგური შეხვედრები. ერთი სიტყვით, სპორტს არ უმტყუნეს პატარებმა.

მომავალ შეხვედრამდე!

სადილობამ მოატანა. გართობით დაღლილი პიონერები ეზოში შეგროვდნენ. ერთი ჯგუფი ეს-ეს არის ზურგჩანთებით დაბრუნდა. ზოგმა ფიჩხის კონები მოიტანა კოცონისთვის. ახლა სპორტულ ინვენტარსაც მიხედეს, ერთ ადგილას შეაგროვეს. ბოლო დღეა და ყველაფერს თავისი ადგილი უნდა მიუჩინონ. ეზოში მოფუსფუსე გოგონებს გავესაუბრეთ. ისინი, თურმე, დიდი კარნავალისთვის ემზადებიან. დღეს ხომ მათი ხტუმრები მშობლებიც არიან და დიდ პასუხისმგებლობას გრძნობენ. დიდხანს გრძელდება მხიარულება და მაინც მოაწია განშორებამ. პიონერები ემშვიდობებიან პედაგოგებს, პიონერ-ხელმძღვანელებს.

„მომავალ შეხვედრამდე!" — ისმის პიონერთა შეძახილები. „მომავალ შეხვედრამდე, ახალი სასწავლო წლის შემდეგ!" — პასუხობენ აღმზრდელები. ყველა მათგანს ახლა სახლისკენ, მშობლიური სკოლისკენ მიუწევს გული. არდადეგების შემდეგ კვლავ სკოლა უხმობს პატარებს.

ნახვამდის ბანაკო, სალამი სკოლავ!

თ. გაჩეჩილაძე.

• • •

სურათზე: პიონერები დილის გამამხნევებელი ვარჯიშის შესრულების დროს.



„ყველაფერს ვუამბობ თანაკლასელებს"

2 ათეული კილომეტრის სავალია წალვერიდან გვერდისუბნამდე. ტრანსპორტი იშვიათად თუ გამოჩნდება აქაურ გზებზე. სამაგიეროდ, ტურისტულ ბილიკებზე ხალხმრავლობაა. ყველას ნორჩი ტურისტები ჰარობენ. გუჯარეთის წყლის ხეობაში მათთვის მწვანეში ჩაფლული კეთილმოწყობილი ბანაკია გაშენებული. პატარების ამ საყვარელ ადგილს წელს მეხუთედ ეწვია საქართველოს 37 რაიონის ნორჩ ტურისტ-მხარეთმცოდნეების VIII რესპუბლიკური შეკრების მონაწილეთა 2 ნაკადი. 300-მდე ნორჩმა ტურისტმა აქტიურად გაატარა არდადეგები, გამოცდილი პედაგოგების ხელმძღვანელობით გაიმდიდრეს ცოდნა და გამოცდილება.

„ვსწავლობთ მშობლიურ მხარეს" — ასეთი იყო შეკრების თემა, პროგრამა კი გასულ წლებთან შედარებით საინტერესო და მრავალფეროვანი. თავიანთი პირველი ლონისძიება ნორჩმა ტურისტებმა ომში დაღუპულ გმირთა ხსოვნას მიუძღვნეს. ბანაკი ლამაზად გააფორმეს, წარმოადგინეს თავიანთ რაიონებში პიონერული ორგანიზაციების მიერ შეგროვილი შინმოუსვლელთა ფოტოსურათების ალბომები. შეხვდნენ სამამულო ომის ვეტერანებს. მრისხანე დღეების მონაწილეებმა ბავშვებს უამბეს გადატანილ ბრძოლებსა და საბჭოთა პატრიოტიზმზე. ბანაკმა შეხვედრა მოუწყო სოფლის მეურნეობის და მრეწველობის მოწინავეებს, მეცნიერ-მუშაკებსა და ქართველ მწერლებს.

თავისუფალი დროის მეტ ნაწილს ტურისტები ლაშქრობებსა და ექსკურსიებში ატარებდნენ. მოაწყეს ლაშქრობა ღამისთევით, ავიდნენ მწვერვალ მზიანზე, ეწვივნენ ალანის ციხესა და ტყემლოვანს. ფიზკულტურა და სპორტი ყველა ტურისტის განუყრელი მეგობარი გახდა. ამიტომაც იყო, რომ ხშირად ეწყობოდა შეჯიბრებები ფეხბურთში, ფრენბურთში, მაგიდის ჩოგბურთსა და ჭადრაკში. ყველაზე მნიშვნელოვანი ღონისძიება კი ტურისტული ორჭიდი იყო: კარვის გაშლა, ცეცხლის დანთება და წყლის აღუღება, აზიმუტით სიარული დაბრკოლების გადალახვით, პირველი დახმარების აღმოჩენა. ორჭიდის ჯამში გუნდური გამარჯვება I ნაკადში ახმეტელებმა მოიპოვეს, მეორეში — საგარეჯოს გუნდმა. ყველაზე რთულ სახეობაში, აზიმუტით სიარულში საერთო მოწონება დაიმსახურეს გორის რაიონის ატენის საშუალო სკოლის მოსწავლემ მერაბ მიხანაშვილმა (I ნაკადი) და საჩხერის რაიონის სოფელ ქორეთის საშუალო სკოლის სპორტსმენმა ნ. წერეთელმა (II ნაკადი). — ფიზკულტურული და სპორტული მუშაობის ორგანიზაციაში დიდ დახმარებას გვიწევენ გამოცდილი ნორჩი ტურისტები, ბევრი მათგანი უკვე მერამდენედაა ბანაკში, — გვითხრა ფიზკულტურის მასწავლებელმა ნ. ჭეჭელაშვილმა. როცა ვთხოვეთ ვინმე დაესახელებინა, მზერა მეგობრებში მოსაუბრე ქერათმიან გოგონაზე გადაიტანა. — საჩხერის რაიონის სოფელ ქორეთის საშუალო სკოლიდანაა, უკვე მეხუთედაა ბანაკში. მოვიხმეთ, მოგვესალმა, მკვირცხლმა გოგონამ ცოცხლად გაგვიზიარა თავისი შთაბეჭდილებები. მის ხელში ბლოკნოტი შევნიშნეთ.

— ინებეთ! — გვითხრა მან. ჩანაწერს პირველივე ფურცელზე წავაწყდით. იგი 1960 წლის 2 ივლისითაა დათარიღებული. „ასეთი სილამაზე ჯერ არ მინახავს, ჩემს თანაკლასელებს ყველაფერს ვუამბობ", წერდა იგი თავის პირველ განცდებზე. ბოლო ჩანაწერზე კი ჯერ მელანიც არ შემშრალიყო, იგი 1965 წლის 25 აგვისტოს იყო შესრულებული:

„ალბათ, ვერც ჩამოვთვლი, რამდენი კარგი გრძნობა მაკავშირებს შენთან, რამდენი მეგობარი შემძინე. ნახვამდის, მშობლიურო ბანაკო, ნახვამდის!" ლუიზა ქორქოლაძეს ბლოკნოტი დავუბრუნეთ, მეგობრების მისამართების ჩასაწერად ეჩქარებოდა...

საზეიმო ვითარებაში დაიხურა ბანაკი. დირექციამ სიგელებითა და ფასიანი საჩუქრებით დააჯილდოვა მოწინავენი. განშორების დროც დადგა. მეგობრებს ეძნელებათ ერთმანეთთან დაშორება, საუბრობენ, ბანაკში გატარებულ დაუვიწყარ დღეებს იგონებენ... და აი, სხდებიან მანქანებში და ტოვებენ საყვარელ ბანაკს. ეზოში შეერთებული ხმით წარმოთქმული „ნახვამდის!" გაისმის. ხმას ირგვლივ შემოსხდარი მთები იტაცებენ, მერე ექოს, იქით, მეზობელი მთები იღებენ და სადღაც უფრო შორს გადასცემენ...

გ. თამაზაშვილი.

ბორჯომის რაიონი, გვერდისუბანი.

• • •

სურათზე: გვერდისუბნის ნორჩ ტურისტთა ბანაკის ერთი ჯგუფი ლაშქრობისას.

ფოტო ავტორისა.

დრო არ ითმენს

— როგორ მოემზადეთ ახალი სასწავლო წლისათვის? — ამ კითხვით, რომლითაც მივმართეთ რუსთავის განათლების განყოფილების სპორტული სკოლის დირექტორს ჯ. ნოვოსელცევს.

— რუსთაველმა მშენებლებმა ჭირნახულად შეასრულეს მათზე დაკისრებული მოვალეობა, — თქვა მან, — დიდი სამუშაოებია ჩატარებული ქალაქის 17 სკოლაში. მწყობრში ჩადგა მე-9 და მე-11 საშუალო სკოლების ახალი შენობები, რომლებიც აღჭურვილია სპორტული ბაზებით და მოწყობილობით. ყველა სკოლაში გაკეთდა მიმდინარე რემონტი. გაფართოვდა 1 სკოლის სპორტდარბაზი, შეძენილია ახალი სპორტული ინვენტარი და მოწყობილობა.

მაგრამ არის ნაკლიც. კარგი სპორტდარბაზი აქვს ქალაქის მე-7 სკოლას, რომელიც 3 წლის წინათ გადაეცა საექსპლოატაციოდ. მაგრამ უხეირო მშენებლობის გამო, კედლები დასკდა და მეცადინეობა შეწყდა. მართალია, ახლა დაიწყო შენობის კაპიტალური შეკეთება, მაგრამ მუშაობა მეტად ნელი ტემპით მიმდინარეობს. ბინათმშენებლობის სამმართველომ უნდა დააჩქაროს შენობის რემონტი.

დრო არ ითმენს.

რ. გაბრიჭიძე.

პლიუსი...

გორის რაიონის სოფელ ტინისხიდს ბევრი ნიჭიერი სპორტსმენი აღუზრდია. საკმარისია დავასახელოთ მოჭიდავეები მიშა და იასონ კერელაშვილები, გენო ყაზარაშვილი, ოთარ იორამაშვილი, მძლეოსანი გაიოზ იორამაშვილი, ფეხბურთელი თამაზ ანიაშვილი, რომლებსაც ღირსეულად დაუცავთ რაიონისა და რესპუბლიკის სპორტული ღირსება.

ჩვენი წარმატებები კიდევ უფრო მნიშვნელოვანი იქნებოდა, რომ ახალგაზრდობა უზრუნველყოფილი იყოს სპორტული ბაზებით. ყოვლად მიუტევებელი იყო, მაგალითად, რომ სოფელს დღემდე არ ჰქონდა ფეხბურთის სათამაშო მოედანიც კი.

და აი, ჩვენს სოფელში დაიწყო სტადიონის მშენებლობა, რომელიც ვეტერანმა სპორტსმენებმა ითავეს. სტადიონის მოწყობაში დიდ დახმარებას გვიწევს კოლმეურნეობის გამგეობა (თავმჯდომარე რ. ბერელაშვილი, პარტორგანიზაციის მდივანი ვ. ყაზარაშვილი). მათ სათამაშო მოედანი გამოუყვეს სპორტსმენებს.

სოფელ ტინისხიდის სპორტსმენები.

...და მინუსი

კაჰრეთი გურჯაანის რაიონის სოფელია. იგი ბევრად არ განსხვავდება გორის რაიონის სოფელ ტინისხიდისაგან. პირიქით, თუ ბუნებრივი პირობების მიხედვით ვიმსჯელებთ, კაჰრეთელები არ უნდა უჩიოდნენ სტადიონის უქონლობას, მაგრამ აი, რას გვწერს კ. ბანცალაძე კაჰრეთელი სპორტსმენების სახელით:

ჩვენს სოფელში იყო ფეხბურთის მარტივი ტიპის სტადიონი, რომლითაც სამი მეზობელი სოფლის ახალგაზრდობა სარგებლობდა. მაგრამ სამგორწყალმშენის არხის გაყვანის დროს იგი დაზიანდა და სათამაშოდ უვარგისი გახდა, ჩვენ არა ერთხელ მივმართეთ მშენებლობის უფროსს და სასოფლო საბჭოს თავმჯდომარეს გიორგი გოგინაშვილს, მაგრამ მათ უარი გვითხრეს დახმარებაზე.

ბოლოს, როგორც იქნა, დაიწყეს მოედნის მოსწორება. მაგრამ მუშაობა მეტად ნელი ტემპით მიმდინარეობს და საქმეს კარგი პირი არ უჩანს.

როდის მოაწყობენ სტადიონს?

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახალი ამბები

● **ხარკოვი,** 28 აგვისტო. აქ მიმდინარე სსრ კავშირის პირველობაზე ცურვაში გათამაშდა ოქროს კიდევ 4 მედალი: 100 მეტრზე ბატერფლაით ცურვაში გაიმარჯვა ხარკოველმა ტ. დევიატოვამ — 1.11,0. ამავე მანძილზე ზურგზე ცურვაში ტოლი არ ყავდა ლენინგრადელ ტ. საველიევას 1.12,1. უნივერსიადაზე შესანიშნავი გამოსვლების შემდეგ, მოსკოველებმა ვ. მაზანოვმა და ს. ბელიც-გეიმანმა აქაც სცადეს ძალები და ოქროს მედლები მოიპოვეს. პირველმა მოიგო 200 მეტრზე ზურგზე ცურვა — 2.15,7, ხოლო მეორემ — 400 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვა — 4.20,0.

● **ბუდაპეშტი, 28 აგვისტო.** საბჭოთა ჩოგბურთელმა თ. ლეიუსმა უნივერსიადის ტურნირზე წააგო ფინალური ბრძოლა რუმინელ ი. ცირიაკთან—6:3, 3:6, 2:6, 2:6. სიმაღლეზე ხტომაში საბჭოთა მძლეოსანმა ვ. სკვორცოვმა 216 სანტიმეტრი დაძლია და ჩემპიონის ოქროს მედალი დაისაკუთრა.

● **სალონიკი,** 28 აგვისტო. მეორე საერთაშორისო მატჩი აქ გამართა ტაშკენტის „პახტაკორმა". მისი მოწინააღმდეგე იყო „არისის" საკლუბო გუნდი. გაიმარჯვეს სტუმრებმა — 3:0.

● **ლვოვი,** 28 აგვისტო. სსრ კავშირის პირველობაზე თანამედროვე ხუთჭიდში მესამე დღეს გაიმართა ასპარეზობა სროლაში. ერთნაირი შედეგი — 198 ქულა 200 შესაძლებლიდან აჩვენეს გ. ფროლენკომ, ა. მოკეევმა და ი. მოსკვიჩევმა. გუნდურ ჩათვლაში გამარჯვება მოსკოვის კოლექტივს დარჩა. სამი სახეობის შემდეგ პირველ ადგილზე კვლავ ი. ნოვიკოვია — 3125 ქულა, მეორეზეა ა. მოკეევი — 3060 ქულა, მესამეზე — ვ. მინეევი 2973 ქულა. გუნდურ ჩათვლაში კვლავ მოსკოველები ლიდერობენ.

● **ჰავანა,** 28 აგვისტო. ხ. კაპაბლანკას ხსოვნისადმი მიძღვნილ საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირის მეორე ტურის გადადებული პარტია რ. ფიშერთან ვ. სმისლოვმა გაუთამაშებლად დათმო. გელერი (სსრ კავშირი) და საბო (უნგრეთი), ხოლმოვი (სსრ კავშირი) და პარმა (იუგოსლავია), პერესი (კუბა) და ტრინგოვი (ბულგარეთი), ო'კელი (ბელგია) და პიტჩი (გდრ), ბილეკი (უნგრეთი) და პახმანი (ჩეხოსლოვაკია) ფაიმზე შეთანხმდნენ. ჰიმენესმა (კუბა) წააგო ივკოვთან (იუგოსლავია). ორი ტურის შემდეგ ფიშერს ორი ქულა აქვს და შეჯიბრებას ლიდერობს.

[illegible]

✦ ტყვარჩელი

აქ მოეწყო საქალაქო თასის გათამაშება ფეხბურთში, სადაც გამარჯვება მოიპოვა მე-6 შახტის გუნდმა.

კოლექტივში (მწვრთნელი გ. ლვაბერიძე) კარგი თამაშით გამოიჩინეს თავი ვ. კაკულიამ, ა. ლვაბერიძემ, ზ. ნაჭყებიამ და სხვებმა.

ო. ნადარეიშვილი.

✦ გუდაუთა

გუდაუთაში მოეწყო „კოლმეურნის" აფხაზეთის თასის გათამაშება ფეხბურთში, სადაც მონაწილეობდნენ გალის, ოჩამჩირის, გულრიფშის, გუდაუთისა და გაგრის რაიონების გუნდები.

ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ გულრიფშის ილიჩის სახელობის საბჭოთა მეურნეობის და გაგრის რუსთაველის სახელობის კოლმეურნეობის ფეხბურთელები. გამარჯვება წილად ხვდათ გულრიფშელებს.

შ. ჯალალონია.

●

ყანა ბიბინებს...

ვანის რაიონის სოფელ ამაღლების საშუალო სკოლას გააჩნდა ფეხბურთის მინდორი, რომელიც მომსახურებას უწევდა არა მარტო სკოლის მოსწავლეებს, არამედ სოფლის ახალგაზრდობასაც.

ახლა სათამაშო მინდორი გადახნეს და ზედ ყანა ბიბინებს. ნუთუ არ შეიძლებოდა საქმე ისე მოწყობილიყო, რომ მოსწავლე სპორტსმენებს შერჩენოდათ ეს ბაზა?

ჯ. სინაურიძე.

ტრადიციას საფუძველი ჩაეყარა

ჯვარზენი, ენგურჰესის მშენებელთა ერთ-ერთი საცხოვრებელი უბანი ახლა პატარა, ლამაზ ქალაქს მოგაგონებთ, რომელსაც მრავალსართულიანი სახლები და ფართო ქუჩები ამშვენებს.

ახლახან აქ დიდი სპორტული ზეიმი გაიმართა: 5.000-მდე კაცი და ქალი მოვიდა ჯვარზენში, რათა დასწრებოდა ენგურჰესის მშენებელთა I სპარტაკიადის გახსნას.

სპარტაკიადის ალმის საზეიმოდ აღმართვის შემდეგ 500 სპორტსმენი-თანრიგოსანი ჩაება პირველობისათვის ბრძოლაში. ენგურჰესის სამშენებლო უბნების ფიზკულტურული კოლექტივები ერთმანეთს სპორტის 11 სახეობაში ეჯიბრებოდნენ.

სპარტაკიადაზე საერთო-გუნდური I ადგილი მოიპოვა ვარდნილი ჰესის მშენებლობის სამმართველოს ფიზკულტურულმა კოლექტივმა (ფიზკულტურის ინსტრუქტორი ა. წურწუმია). ამ უბნის სპორტსმენებმა I ადგილები დაიკავეს მაგიდის ჩოგბურთში, მძლეოსნობაში, ქართულ და თავისუფალ ჭიდაობებში და ქალთა კალათბურთში. საერთო გუნდურ ჩათვლაში II ადგილი დაიკავეს კაშხალმშენის სამმართველოს სპორტსმენებმა (ფიზკულტურის ინსტრუქტორი ს. ზამბახიძე), III ადგილი — ჰიდრომექანიზაციის სამმართველოს სპორტულმა კოლექტივმა (ფიზკულტურის ინსტრუქტორი ნ. კვაშილავა).

სპარტაკიადამ ახალი ბიძგი მისცა მშენებელთა სპორტით კიდევ უფრო მეტ დაინტერესებას.

ე. ჩიქავა,
სარაიონთაშორისო გაზეთ „მებრძოლის" თანამშრომელი.

* * *

სურათებზე: ფეხბურთელთა შეხვედრის ერთ-ერთი მომენტი — ზემოთ. სპარტაკიადის საზეიმო გახსნაზე.

ფოტო კ. უუფუნიასი და კ. სახეიშვილისა.

საგანგაშო შედეგები

როგორ გამოვიდნენ ჩვენი მოცურავეები პროფკავშირთა VIII სპარტაკიადაზე

პროფკავშირების VIII სპარტაკიადაზე ნაჩვენები საქართველოს მოცურავეთა შედეგები ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს. პროფკავშირების ნებაყოფლობით სპორტსაზოგადოებათა რესპუბლიკურ საბჭოებში ცურვის განვითარებას რომ სათანადო ყურადღება არ ეთმობა და აქედან გამომდინარე, ცუდად მომზადებულ სპორტსმენთა დიდი წარმატების იმედიც არ უნდა გვქონოდა, ეს ყველასთვის ადრევე იყო ცნობილი, მაგრამ ფაქტმა მოლოდინს გადააჭარბა. თუ ფიზკულტურული კოლექტივების ტურნირში მონაწილე სპორტკლუბ „გამარჯვების" ნაკრებს, რომელმაც 9.906 ქულა დააგროვა და VII ადგილი მოიპოვა, ვერაფერს ვუსაყვედურებთ, ჩვენი რესპუბლიკის ნაკრებმა ამ სახეობაში ძლივს მოაგროვა 8.706 ქულა და XIV ადგილი დაიკავა (შეადარეთ მოსკოვის კოლექტივის 30.616 ქულას). სწორედ ნაკრების წევრთა ცუდი მომზადებით იყო გამოწვეული ის, რომ რესპუბლიკამ ვერც საერთო ჯამში დააღწია თავი ამ სამარცხვინო XIV ადგილს.

რამ განაპირობა ნაკრების ასეთი სამარცხვინო ჩავარდნა? იმის გამო, რომ სპორტსაზოგადოებათა უმეტესობაში თვითდინებაზეა ცურვის განვითარება, რესპუბლიკურ სპარტაკიადაზე სრული გუნდით მხოლოდ „განთიადი" გამოვიდა და მანაც ყველა სახეობაში ვერ მიიღო ჩათვლა. „განთიადისა" და „ბურევესტნიკის" მოცურავეებით დაკომპლექტებულმა ჩვენმა გუნდმა დიდ სტარტამდე დარჩენილ დროში ვერ შეძლო ნაკლოვანებების დაძლევა, ამიტომაც პირადი პირველობის პროგრამის 23 სახეობიდან საქართველოს ვერც ერთი წარგზავნილი ვერ მოხვდა ათეულში. გამონაკლისს შეადგენს ესტაფეტები და ისიც იმიტომ, რომ სტარტზე 9-10 გუნდი გამოდიოდა.

ერთადერთი განთიადელი გ. კარბუკოვი იყო, რომელმაც 400 მ თავისუფალი სტილით ცურვაში XI და 100 მეტრზე — XII ადგილები მოიპოვა. სხვები ოცეულის მიღმა დარჩნენ. ასე, მაგალითად, ვაჟთა შორის 100 მ თავისუფალი სტილით ცურვაში მონაწილეებმა დაიკავეს: ა. არტამონოვმა („განთიადი") — 36-ე ადგილი, ლ. გიორგაძემ („ბურევესტნიკი") — მე-60, ვ. ბოგდანოვმა — 74-ე, ვ. კალანდაძემ — 81-ე, რ. ზარიძემ — 93-ე და ე. სიდელნიკოვმა (ყველანი — „განთიადიდან") ბოლო, 106-ე ადგილი. 400 მეტრზე ცურვაში უკანასკნელი, 42-ე ადგილი დაიკავა ვ. კალანდაძემ. იგი გამარჯვებულს, მოსკოველ ლ. ილიჩევს ჩამორჩა 1,9 წუთით.

საქართველოს ოთხი მოცურავე ცდიდა ძალებს 100 მ ბრასით ცურვაში და მათგან საუკეთესომ — გ. ჯიქიძემ მხოლოდ 21-ე შედეგი აჩვენა, სხვები — ვ. პესტეროვი, გ. მელიქბეკოვი და ე. სიდელნიკოვი შესაბამისად 34-ე, 63-ე და 67-ე ადგილებს დასჯერდნენ. ანალოგიური სურათი განმეორდა 100 და 200 მ ბატერფლაით, 100 და 200 მ ზურგზე ცურვაშიც. 100 მ ბატერფლაით ცურვაში განთიადელმა რ. კრისანოვმა 33-ე, ხოლო 200 მეტრზე — 44-ე ადგილი დაიკავა. მისმა თანაგუნდელმა ვ. ბოგდანოვმა მხოლოდ 7 სპორტსმენს აჯობა და 92-ე ადგილით დაკმაყოფილდა. ზურგზე ცურვაში საუკეთესო ე. ხომჩიანი („განთიადი") იყო, რომელმაც 100 და 200 მეტრზე შესაბამისად 25-ე და 21-ე შედეგები აჩვენა. მოცურავე ვაჟთა ცუდ მომზადებაზე მეტყველებს ისიც, რომ ესტაფეტაში 4×200 მეტრზე თავისუფალი სტილით წინასწარ გაცურვაში გუნდი V ადგილზე (9 კოლექტივიდან) გამოვიდა — 9.14,9, ფინალში კი ეს შედეგი 8,7 წამით გააუარესა და VII ადგილზე „გადასახლდა". თუ აღნიშნულს იმასაც დავუმატებთ, რომ ჩვენს ვაჟებს მონაწილეობა არ მიუღიათ კომპლექსურ და 1.500 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში, ნათელი გახდება მათ მიერ „გადატანილი" ბრძოლების სურათი.

იქნებ ქალებმა შეძლეს ვაჟთა ამ სამარცხვინო მაჩვენებლების რეაბილიტაცია? არა. პირიქით, თუ ვაჟებში საუკეთესოთა ოცეულში გ. კარბუკოვი მაინც მოხვდა, ქალებში მსგავსიც არაფერი ყოფილა. ჩვენი 6 სპორტსმენი მონაწილეობდა 100 მ თავისუფალი სტილით ცურვაში და მათგან უძლიერესმა ლ. ბერძენიშვილმა („ბურევესტნიკი") მხოლოდ 34-ე ადგილი დაიკავა. ჩემპიონს, ნ. უსტინოვას (უზბეკეთი, 1.04,3) იგი 7,8 წამით ჩამორჩა. მე-60 ადგილზე გამოსულმა ვ. დოვგალოვამ („განთიადი") კი 1.17,9 აჩვენა. საინტერესო ფაქტი მოხდა 400 მ თავისუფალი სტილით ცურვაში, სტარტზე 38 სპორტსმენი გამოვიდა. ლ. ბერძენიშვილმა აქ 28-ე შედეგი — 5.54,6 აჩვენა (ჩემპიონმა მოსკოველმა თ. სოსნოვამ — 5.01,2). საქართველოს გუნდის სხვა წევრებმა ე. მახროვამ, ა. მორგუნენკომ, ვ. დოვგალოვამ და ა. მაქსიმცევამ (ყველანი — „განთიადი") კი ბოლო, 35-38-ე ადგილები გაინაწილეს. 100 მ ბატერფლაით ცურვაში ჩვენმა ერთადერთმა მონაწილემ ნ. ტიშინამ („ბურევესტნიკი") ბოლო, 23-ე ადგილი დაიკავა. ა. კონდრინამ („ბურევესტნიკი") 100 მ ზურგზე ცურვაში მონაწილე 45 სპორტსმენიდან მხოლოდ 3-ს მოუგო, 200 მეტრზე კი ბოლოსწინა, 37-ე ადგილი დაიკავა.

ყველა ფაქტების ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა. დავუმატებთ მხოლოდ, რომ საქართველოს მოცურავეთა შორის არ მოიძებნა თუნდაც ერთი, რომელსაც შეძლებოდა ოსტატის შედეგის ჩვენება. მხოლოდ გ. კარბუკოვი შეწვდა ორჯერ ოსტატობის კანდიდატის ნორმატივს. როგორც ვხედავთ, მდგომარეობა საგანგაშოა, ვინაიდან სსრ კავშირის ხალხთა IV სპარტაკიადაზე მთელი გუნდი მხოლოდ ოსტატებით უნდა იყოს დაკომპლექტებული. საინტერესოა, სპარტაკიადამდე დარჩენილ 2 წელიწადში ჩვენი მწვრთნელები და სპორტსაზოგადოებები სად მოძებნიან ოსტატებს? როდემდე უნდა გაგრძელდეს უმოქმედობა.

ჩვენი მოცურავეების ეს მაჩვენებლები სათანადო ორგანოების მსჯელობის საგანი უნდა გახდეს.

ო. გელაშვილი.

სექტემბერი — შესარჩევი თვე

1966 წლის 1 იანვრისათვის ყოველგვარი ბუნდოვანი საკითხი უნდა გაირკვეს მსოფლიოს VIII საფეხბურთო ჩემპიონატის რუკაზე: დამთავრდეს შესარჩევი, ე. ი. საკვალიფიკაციო მატჩები ყველა ზონაში და საბოლოოდ დადგინდეს 16 ფინალისტი, რომლებიც გადამწყვეტ ბრძოლას შეუდგებიან ინგლისის სტადიონებზე.

ფინალის 5 მონაწილე უკვე ცნობილია. ესენია: ბრაზილია (მსოფლიო ჩემპიონი), ინგლისი (გათამაშების ორგანიზატორი), მექსიკა (ცენტრალური და ჩრდილოეთ ამერიკის ქვეყნების ჯგუფებში გამარჯვებული), ურუგვაი (სამხრეთ ამერიკის I ჯგუფში გამარჯვებული) და არგენტინა (სამხრეთ ამერიკის III ჯგუფში გამარჯვებული).

ევროპის კონტინენტზე, როგორც ცნობილია, შექმნილია 9 ჯგუფი, რომლებიც ავლენენ ფინალისტთა უმეტეს რაოდენობას — 9-ს და მთელი რიგი გადამწყვეტი მატჩები აქ გაიმართება უახლოეს თვეში — სექტემბერში. ამიტომ ინტერესმოკლებული არ იქნება გადავავლოთ თვალი შესარჩევი მატჩების კალენდარს შემოდგომის ამ პირველ თვეში.

დავიწყოთ **I ჯგუფიდან.** ისრაელის ფეხბურთელებმა უკვე მოასწრეს პირველი 2 მატჩის წაგება ბელგიასთან და ბულგარეთთან, ამიტომ ისინი განწირული აუტსაიდერები არიან, თუმცა მათ არც ადრე თვლიდა ვინმე ფავორიტებად. ამ ჯგუფში ყველაფერი უნდა გადაწყდეს ბელგიისა და ბულგარეთის გუნდების შეხვედრებში და პირველი მათგანი შედგება 26 სექტემბერს ბულგარელთა მინდორზე.

26 სექტემბერი კვირაა. სწორედ ამ დღეს უნდა ჩატარდეს კიდევ ერთი ცენტრალური მატჩი, რომელიც ფაქტიურად გამოავლენს ლონდონის ფინალისტს ევროპის **II ჯგუფიდან.** ლაპარაკია შვეციისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის გუნდებზე, რომლებმაც ადრე „გეგმის მიხედვით" დაამარცხეს კვიპროსის ნაკრები. მას შემდეგ, რაც გერმანელებმა საკუთარ მინდორზე ვერ მოუგეს შვეციის გუნდს (1:1), ამ უკანასკნელს რეალური შანსი აქვს საჭირო ქულები აიღოს თავის სტადიონზე და გაინაღდოს ფინალის ვიზა.

ყველაფერი აირია **III ჯგუფში.** აქ სადავო თითქმის არაფერი იყო, ვინაიდან პირველი ადგილის საკითხი უნდა გადაეწყვიტა ტრადიციულ ბრძოლას იუგოსლავიისა და საფრანგეთის გუნდებს შორის, მაგრამ კარტები სრულიად მოულოდნელად აშალეს ნორვეგიელებმა. მათ საკუთარ მინდორზე, ოსლოში სენსაციური დამარცხება მიაყენეს იუგოსლავიელებს (3:0) და ამით თავდაყირა დააყენეს პროგნოზების მოყვარულთა ვარაუდები. ნორვეგიელებმა 15 სექტემბერს უნდა მიიღონ საფრანგეთის გუნდი და თუ მათ შეძლეს ისეთივე სენსაციის გამეორება, რაც იუგოსლავიის ნაკრებთან, ფინალისტის საკითხი გამოირკვევა მხოლოდ შემდგომში, ოქტომბერსა და ნოემბერში.

IV **ჯგუფში** საპრობლემო არაფერია: პორტუგალიელებმა 4 მატჩი ჩაატარეს და ოთხივე მოუგეს თურქეთის, ჩეხოსლოვაკიისა და რუმინეთის გუნდებს. სასწაული უნდა მოხდეს, რომ პორტუგალიას სხვა რომელიმე კონკურენტმა გაუსწროს, ვინაიდან თურქებს უკვე 3 თამაში აქვთ წაგებული, ჩეხებს — 2. მაგრამ სასწაულები ფეხბურთში ჩვენ ხშირად გვინახავს და მისი ავტორობა ამჯერად შეუძლიათ გასწიონ რუმინელებმა, რომლებსაც 4 ქულა აქვთ 6 შესაძლებლიდან. საამისოდ მათ 19 სექტემბერს ჩეხებს უნდა მოუგონ და ისიც მოწინააღმდეგის მინდორზე. ძნელი საქმეა!

5 სექტემბერს ბუდაპეშტში ერთმანეთს ხვდებიან უნგრეთისა და ავსტრიის ნაკრები გუნდები. მას შემდეგ, რაც ავსტრიელებმა თავიანთი ძველი მეტოქისაგან დამარცხება იწვნიეს ვენაში (0:1), მათი შანსები **VI ჯგუფიდან** ფინალში გასვლაზე მინიმუმამდე დაეცა. მთავარი ფავორიტები ახლა აქ უნგრეთის ფეხბურთელები არიან, რომლებსაც კონკურენციის უნდა ეშინოდეთ მხოლოდ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ნაკრების მხრივ.

VIII **ჯგუფში** სექტემბერი შედარებით წყნარი თვეა. 26 რიცხვში ერთმანეთს უნდა შეხვდნენ ფინეთისა და პოლონეთის გუნდები. მართალია, მატჩი შედგება ჰელსინკში, მაგრამ ფინელებს, რომლებმაც 3 თამაში ჩაატარეს, ჯერ არც ერთი ქულა არ აუღიათ და ამიტომ მათი საკითხი გადაწყვეტილად მიაჩნიათ: ბოლო ადგილი. გამარჯვებისათვის იქ იბრძოლებენ იტალია, პოლონეთი და შოტლანდია, რომელთა შორის შეხვედრები გაიმართება მომდევნო თვეებში.

მაგიური მანდატი ვ. ფეოლას

ყოველი მსოფლიო ჩემპიონატის წინ ბრაზილიაში ეროვნული ნაკრების მწვრთნელს სპეციალურ მანდატს გადასცემენ. ეს იმის ნიშანია, რომ ამიერიდან მწვრთნელი განუსაზღვრელი უფლებებით სარგებლობს. იგი სხვადასხვა კლუბებში ეძებს ნაკრების შესაფერ კანდიდატებს, იწვევს მათ რიო-დე-ჟანეიროში და სურვილისამებრ რიცხავს მათ შეკრების მონაწილეთა სიაში. მანდატს მაგიური ძალა აქვს. კლუბების ხელმძღვანელები ვალდებული არიან მანდატის მფლობელის ყველა სურვილი შეასრულონ.

სწორედ ასეთი მანდატი მიიღო ამას წინათ ბრაზილიის ეროვნული ნაკრების მწვრთნელმა ვ. ფეოლამ. ამ ღირსშესანიშნავი დღის (მანდატს ბრაზილიაში საზეიმო ვითარებაში გადასცემენ. ამ ცერემონიალს, როგორც წესი, რეპორტიორთა მთელი ჯგუფი ესწრება) აღსანიშნავად ჟურნალისტებმა ფეოლას მთელი რიგი შეკითხვებით მიმართეს.

● **რას ფიქრობთ მსოფლიოს მომავალ ჩემპიონატზე?**

— ჩემის აზრით, იგი ბრაზილიელებისთვის გაცილებით უფრო ძნელი იქნება, ვიდრე შვეციისა და ჩილის ჩემპიონატები.

● **ხომ არ ნიშნავს თქვენი განცხადება იმას, რომ ბრაზილიამ შეიძლება დაკარგოს „ოქროს ქალღმერთი"?**

— ამას მე არ ვამტკიცებ. უბრალოდ, მინდა გაგახსენოთ, რომ სტოკჰოლმში ჩვენ ხელსაყრელ მდგომარეობაში ვიყავით. ჩემპიონის ტიტულის პრეტენდენტად არავინ გვთვლიდა და ვთამაშობდით ყოველგვარი პასუხისმგებლობის გარეშე. ჩილისთვის ჩვენ ძირითადად შევინარჩუნეთ სტოკჰოლმის გუნდი, ასეთი ბიჭებით კი თამამად შეიძლებოდა პირველ ადგილზე ფიქრი. ლონდონში ბრაზილიის შემადგენლობა უმთავრესად განახლებული იქნება. ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, შევძლებთ თუ არა ძველი გვარდიის ღირსეული ცვლის გამოძებნას.

● **მსოფლიოს ჩემპიონებიდან ვის აქვს ინგლისში გამგზავრების რეალური შანსები?**

— პირველ რიგში პელეს და გარინჩას. ამათ გარდა ლონდონში უეჭველად ითამაშებენ ჯალმა სანტოსი, ორლანდო და ბელინი.

● **როგორ ნაწილდება მათი ფუნქციები ნაკრებში?**

— პელეს და გარინჩას ფუნქციებს არავითარი განაწილება არ სჭირდება. საკმარისია ისიც, რომ პელე — პელეა, გარინჩა კი — გარინჩა. ჯალმა სანტოსი და ორლანდო იმდენად სერიოზული ადამიანები არიან, რომ მათი დარიგება უაზრობაა. გამარჯვებისათვის ისინი ყველაფერს გააკეთებენ. ბელინი ჩვენი გუნდის ტვინია. მას, სხვათა შორის, მაგიური ძალა და ზემოქმედების უნარი აქვს მოთამაშეებზე. ბელინის ყველა თვალებში შესცქერის, გინდა იყოს ეს პელე ან გარინჩა, გინდაც სულ უცნობი ახალბედა. ბელინი გუნდის იმედი, ძალა და სტიმულია.

● **ვის თვლით ჩემპიონობის მთავარ პრეტენდენტად?**

— გეტყვით მხოლოდ ერთს: ნახევარფინალში თამაშის შანსები აქვთ ბრაზილიელებს, ინგლისელებს, უნგრელებსა და საბჭოთა ფეხბურთელებს. მოსალოდნელია რომ „ოქროს ქალღმერთისთვის" კიდევ ერთი რომელიმე სამხრეთამერიკული გუნდი იბრძოლებს.

● **თქვენთვის ვინ იქნება ყველაზე „სასიამოვნო" მეტოქე?**

— ნებისმიერი ევროპული გუნდი.

● **სამხრეთამერიკული?**

— სჯობს ევროპული.

● **რას იტყვით მომავალი მსოფლიო ჩემპიონატის ორგანიზაციაზე?**

— ინგლისი ფეხბურთის სამშობლოა, ამიტომაც თავისი პირმშოს ზეიმს იგი ღირსეულად მოაწყობს.

ჩემბერლენი — ჩემბერლენის შესახებ

პროფესიული კალათბურთის გამოჩენილმა ვარსკვლავმა უილტონ ჩემბერლენმა ნიუ-იორკის ჟურნალ „სპორტს ილუსტრეიტედში" დაბეჭდა ავტობიოგრაფიული ხასიათის წერილი. აი მისი მოკლე შინაარსი:

„რამ მაიძულა ამეღო ხელში კალამი? ალბათ იმან, რომ ხალხს უგუნური ვგონივარ. ჩემში მხოლოდ ქულების მომტან მანქანას ხედავენ, ქუჩაში შეხვედრისას კი ამინდზე მესაუბრებიან. ბევრს ჰგონია, რომ მე მარტივი წინადადებების დალაგებაც არ შემიძლია.

გავიზარდე სიღარიბეში. მამაჩემი კვირაში 60 დოლარს იღებდა. ჩემს გარდა ოჯახში კიდევ რვა ბავშვი იყო, ექვსი გოგო და ორი ბიჭი.

სკოლაში მძლეოსნობითა და ფეხბურთით ვიყავი გატაცებული, მაგრამ საბოლოოდ არჩევანი კალათბურთზე შევაჩერე. სკოლის დამთავრების შემდეგ მე, როგორც კალათბურთელს, 200 კოლეჯი მეპატიჟებოდა. მოვხვდი კანზასში, პირველსავე შეხვედრაში ამ კოლეჯის გუნდს 53 ქულა შევძინე. შემდეგ „ფილადელფია უორიორსში" გადავედი.

პროფესიულ გუნდში თამაში საკმაოდ რთული საქმეა, სეზონში 72 შეხვედრას ვატარებ. ძალიან უნდა გიყვარდეს კალათბურთი, ასეთ დატვირთვას რომ გაუძლო.

ჩვენი ცხოვრება მათთვისაა მიმზიდველი, ვინც არ იცის სპორტის გემო. პროფესიონალი კალათბურთელი ყოველ წელს შეიძლება „გადაიწვას", ამიტომ ყველაზე მეტად ფულის დაკარგვაზე ფიქრობ. ტრავმის ან ავადმყოფობის შემთხვევაში შენი თავი არავის აქვს.

ურთიერთობა კლუბების მეპატრონეებს, მწვრთნელებს, მენაჯერებსა და მოთამაშეებს შორის ჯუნგლებს მაგონებს. რას არ ნახავ აქ. ზოგჯერ, მატჩის წინ მენაჯერი მოულოდნელობისაგან პარალიზებულ მოთამაშეს ასე მიმართავს: ნუღარ გაიხდი. შენ გაყიდული ხარ! იმის ღირსადაც არ გვთვლიან, რომ წინასწარ გაგვაფრთხილონ.

ხშირად ისეთ მარტოობას ვგრძნობ, რომ ვცდილობ გიტარით გავირთო თავი. ყველაზე საინტერესო ბრძოლა „ბოსტონ სელტიკთან" გვაქვს, სადაც სახელგანთქმული ბილ რასელი თამაშობს.

1960 წელს ფსიქიური კრიზისი განვიცადე. მინდოდა სპორტი მიმეტოვებინა. როგორღაც შევძელი წონასწორობის მოპოვება. მაგრამ დიდი ხნით"?

• • •

სურათზე: თავისუფალ დროს ჩემბერლენი თავისი საყვარელი გიტარით ერთობა.

▲ **ბოსტონი.** ავტოსპორტის საერთაშორისო ასოციაციამ მოახდინა იმ ფირმის მანქანათა კლასიფიკაცია, რომლებმაც უკანასკნელი 16 წლის მანძილზე მოიპოვეს მსოფლიო ჩემპიონის ტიტული. ყველაზე უფრო დამსახურებული ფირმაა „ფერარი", რომლის მძღოლებმაც 5-ჯერ მოიპოვეს საპატიო წოდება. 4-ჯერ იყო ჩემპიონი „ლოტუსი". ორჯერ მას მსოფლიო რეკორდსმენი ინგლისელი კლარკი მართავდა, თითო-თითოჯერ კი მისი თანამემამულეები ჰილი და სარტისი. ჩემპიონის ტიტულს 2-2-ჯერ ატარებდნენ „ალფა რომეო", „მასერატი" და „კუპერი" და ერთხელ — „მერსედესი".

▲ **ლოს ვეგასი** (აშშ). აქ გაიმართა კრივის საერთაშორისო ორგანიზაციის კონგრესი, რომელმაც დაადგინა: მძიმე წონაში მსოფლიოს უძლიერესი პროფესიონალი მოკრივის სახელის მოსაპოვებლად გაიმართოს ოთხთა ტურნირი, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ: ტერელი, ჩუვალო, პატერსონი და კლეი. როგორც ჩანს, კონგრესმა მოუხსნა კლეის დისკვალიფიკაცია. ნახევარფინალური წყვილები კენჭისყრის შემდეგ ასე განლაგდნენ: ტერელი — ჩუვალო, პატერსონი — კლეი.

▲ **პარიზი.** ცნობილი იაპონელი ძიუ-დოისტი მურაკამი პარიზში გადავიდა საცხოვრებლად. აქ მას ძიუ-დოისტთა სკოლის შექმნა აქვს განზრახული. ამას წინათ მურაკამი ეწვია იუგოსლავიის მოჭიდავეებს და აქ საჩვენებელი გამოსვლები გამართა.

▲ **ლონდონი,** შოტლანდიელი ავტომობილისტი ჯ. კლარკი მსოფლიოს ყველა დროის საუკეთესო მძღოლად ითვლება. ამას წინათ კორესპონდენტებთან საუბარში მან განაცხადა, რომ შესაძლოა თავი დაანებოს საავტომობილო სპორტს, რადგან მეტოქეების მხრიდან ვერ გრძნობს კონკურენციას. თუ ეს ასე მოხდა, კლარკი დაიწყებს ფერმერობას.



სურათზე: კეინო და მისი ლიდერი მორიგი ვარჯიშის დროს.

მძლეოსანთა საერთაშორისო ასპარეზზე კენიელი მორბენლის 1.500 და 5.000 მეტრზე რბენაში აფრიკის რეკორდსმენ კეინოს გამოჩენა იმდენად მოულოდნელი იყო, რომ სპეციალისტებს გაუჭირდათ ამოეცნოთ, ასე მოკლე დროში, როგორ მიაღწია სპორტსმენმა დიდ წარმატებას. საიდუმლოებას ფარდა ისევ კეინომ ახადა. გამოირკვა, რომ მას წვრთნის... სირაქლემა. ეს უწყინარი ფრინველი ყოველ ვარჯიშზე ლიდერობს სპორტსმენს, რომელიც იძულებულია ფეხდაფეხ სდიოს მას და არასოდეს ჩამორჩეს 3 მეტრზე მეტით. „მწვრთნელი" კი მუდამ ერთნაირ ტემპში დარბის და ყოველ კვირას „ასაზრდელთან" ერთად 75 კილომეტრს ფარავს.

რედაქტორის მაგიერ
ზ. ჯაფარიძე.

ИНДЕКС 66448

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. № 14.

უე 05655